

# 112-ის ენობოთ...

№17.  
იანვარი, 2015

# 112

# 112



112-ში ჭრილი გაცნობების თამაზ  
ერთეულთან მართა (03.5-6)



„Christmas Friend“ in 112  
(03.1)

# 112

---

## რედაქტორი ლიკა ალაძაშვილი

ნომერზე მუშაობდნენ: თეა გზირიშვილი, ნინო მიქაუტაძე, ნატალია გელაშვილი,  
სალომე გელუტაშვილი, შალვა კუხიანიძე, მარიამ ჭმუხაძე

დიზაინი თეა კუპრაძე

112-ში ჩამოავალი გადასცემის თამაზა პრეზენტის  
გაიმართა

83.4-5

112 შეუკრთლა ჯადოვანის სამინისტროს მიერ  
ნამოწყვებაზე ელიტისადაცის კამპანიას  
„საკართველო C ჰეჭატიზის გარე“

83.6

„Christmas Friend“ in 112

83.7

ახალი ცლის დამ 112-ში

83.8

ოპარატორის დღიური

83.9-10

83.11

აზასტის ქოლგი მასაწლეობისთვის

83.12-13

სახანძლო ბოძის ისტორია

83.14-15

როგორ გავსაფოთ საკათარი თავი  
ფისციურისტიკაზე



## 112-ში ჩატანი შეკრიმინალური თავისებრი გამომართა პრეზენტაცია გიმართა

2015 წლის, 26 იანვარს დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინიციატივით, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტის ანალიტიკური სამსახურისა და თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელებმა ე.წ ჭეკიანი ჭუქნიშვილის მოწყობის თემაზე პრეზენტაცია გამართეს და დეპუტატებს სატრანსპორტო პროგრამების აღმოფხვრის შესახებ პროექტები წარუდგინეს.

გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრის მიერ წარმოდგენილ პრეზენტაციაში 112-ს მისიის, სტატისტიკის, ახალი სერვისებისა და სამომავლო გეგმების შესახებ იყო საუბარი. ცენტრის წარმომადგენელთა განცხადებით, ქართველი პროგრამისტების მიერ შემუშავებულ იქნა სპეციალური ელექტრონული სისტემა - ERC 112, რომელიც მაღალტექნიკურობის ცენტრის მისიისა და ძირითადი ფუნქციების ეფექტურულების გარანტია.

თბილისის მერიის სატრანსპორტო საქალაქო სამსახურის უფროსის, პაატა ჯაჭვლიანის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაცია კი, საგზაო ქსელის გამტარუნარიანობის გაუმჯობესებას, გზებზე უსაფრთხოების გაუმჯობესებას ეხებოდა.

გიორგი ალეხეგაშვილის განცხადებით, საკრებულოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ბევრ სხვა საკითხთან ერთად, დედაქალაქში ტრანსპორტის მოძრაობასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარებაა და მისივე თქმით საკრებულო აგრძელებს მუშაობს მათი დროული გადაწყვეტის მიზნით.

საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოსთვის“ თავმჯდომარის მოადგილის, თამარ ტალიაშვილის, განცხადებით, პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრად დანიშვნის შემდგომ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 112-ის დეპარტამენტში ძირეული ცვლილებები განხორციელდა. მნიშვნელოვანია, რომ 2013 წელს საქართველოს 112 „ევროპის საგანგებო ნომრის ასოციაციაში“ გაწევრიანდა.

- „მოხარული ვარ, რომ ეს ნაბიჯები გადაიდგა და დღეს საქართველო, როგორც ევროკავშირის წევრ, ასევე არაწევრ ქვეყნებთან ერთად, ამ მიმართულებით, კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს. გაიწერა 112-ის განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია. ასევე, სპეციალურად ტურისტებისათვის და საქართველოს მაღალი რისკის მქონე რეგიონებში გადაადგილებული პირებისათვის, შეიქმნა 112-თან დაკავშირების ალტერნატიული არხი - GPS ტრეკერის სახით. დაწყებულია მუშაობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, კერძოდ ყრუ და სმენადაჭვეითებული პირებისათვის 112-თან მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და ვიდეო ზარის საშუალებით დაკავშირების თაობაზე, რომელიც ხელმისაწვდომი 2015 წელს გახდება“ - განაცხადა თამარ ტალიაშვილმა.

სატრანსპორტო პრობლემების აღმოფხვრის მიზნით, დედაქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისია, კვლავ განაგრძობს კოორდინირებულ თანამშრომლობას, როგორც 112-თან, ასევე თბილისის მერიის შესაბამის სამსახურთან.



**112 ბუნებრივი კანონის სამინისტროს მიერ თამოყებულების ელექტრონულის წარადგის „საქართველო C ჰერციტის გარეშე“**

2015 წელი მთავრობისთვის და კანდაცვის სამინისტროსთვის C ჰერციტის ბრძოლის წელი იქნება. ამ წლის მთავარი გამოწვევა მთავრობისთვის საქართველოში C ჰერციტის სრული ელექტრონულია. უპრეცენდენტო პროექტი 2015 წლის პირველ კვარტალში დაიწყება. მისი მიზანი არა მხოლოდ მედიკამენტის მიწოდება, არამედ სწორი დიაგნოსტიკა-მკურნალობა იქნება. რაც პირველ რიგში გულისხმობს დაავადების პრევენციას, დააგედებულთა სამკურნალო მედიკამენტით უზრუნველყოფასა და სერვისების მაქსიმალურად მაღალი ხარისხით მიწოდებას.

პროექტის ფარგლებში ტარდება აქცია - ერთად დავამარცხოთ C ჰერციტი! რომელ-საც 112-იც შეუერთდა.





### „Christmas Friend“ in 112

2015 წელს 112-ის თანამშრომლებმა ტრადიციულად, შობისათვის ერთმანეთს სიმბოლური და სახალისო საჩუქრები გადასცეს.

„იდუმალი სანტას“ იდეა XX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს და მისი ტრადიციად ქცევა ამერიკელი ფილანტროპის, ლარი დერ სტიუარტის, დამსახურებაა. ლარი დერ სტიუარტს ხალხმა „იდუმალი სანტა“ უწოდა, რადგან წლების განმავლობაში ის ისე ეხმარებოდა ადამიანებს, რომ მისი ვინაობის შესახებ არავინ არაფერი იცოდა. „ეს იყო საკუთარი თავისთვის გაკეთებული საშობაო საჩუქარი“ - როგორც მერე თვითონ ამბობდა.

დროთა განმავლობაში „იდუმალმა სანტამ“ მნიშვნელობა შეიცვალა და დღეს ადამიანები ერთმანეთს საშობაოდ სიმბოლურ საჩუქრებს უკეთებენ ისე, რომ ერთმანეთის ვინაობას საიდუმლოდ ტოვებენ, მანამ სანამ, უშუალოდ საჩუქრის გადაცემის დრო არ დადგება.



## ახალი ტელის ფაზა 112-ზე





სასწრაფო დახმარების  
თამაშები

სუზი ბრენტი, ლონდონის სასწრაფო დახმარების ცენტრის დისპეტჩერი, ერთ-ერთ თაგვი სასწრაფო დახმარების თამაშებზე წერს.

## 10 ნოემბერი 2005

დამის ცვლაში ყოფნა ძალიან რთულია, პირადად მე დამით მიჭირს ფხიზლად ყოფნა. ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით დამით გათბობა არ არის, იმ იმედით, რომ ეს საშუალებას მოგვცემს ფხიზლად ვიყოთ, მაგრამ ეს არ ამართლებს. რა თქმა უნდა, როგორც კი ზარი შემოდის, მე ვფხიზლდები. ხანდახან სანამ ზარს მივიღებ ვფიქრობ სად გარ და რა ხდება.

ეს კვირა ძალიან მძიმე იქნება, რადგან ხელმძღვანელობამ ახალი წესები შემოიღო, არავითარი წიგნი და უურნალი. დამის ცვლაში წიგნები და უურნალები იყო ერთადერთი საშუალება, რომ გაგვე-

ძლო და ფხიზლად ვყოფილიყავით. სამწუხაროდ, ისინი აიკრძალა ჩათვალებს რომ ყურადღება წიგნებსა და უურნალებზე გადაგვჭონდა. მხოლოდ სამუშაოსთან დაკავშირებული საკითხების წაკითხვა შეგვიძლია.

სასწრაფო დახმარების დისპეტჩერები მიუხედავად ყველაფრისა ახერხებენ, იყვნენ კრეატიულები. მათ სხვადასხვა თამაშები მოიფიქრეს.

## სასწრაფო დახმარების ბინგო

ფურცელზე 9 სასწრაფო დახმარების სცენარს ვწერთ. მაგალითად: „მოხუცი ქალი საწოლიდან გადმოვარდა“, „ტკი-

ვიღი გულმკერდის არეში“, „ინიციატორი - „მე არ ვიცი, არ ვარ ექიმი!“, „გრიპი“, „სექსუალური შემთხვევა“, „ინიციატორს პიცის ნომერი სურს“, „ინიციატორს არ ესმის ინგლისური მაგრამ, უარს აცხადებს თარჯიმანზე“, „ნასვამი ადამიანი წევს ტროტუარზე“, პირველი ვინც დაასრულებს წერას, ის მოიგებს ბანანს.

### გამოიხადი ავადმყოფობა

გამოიცანი რა ჭირს ზარის ინიციატორს. მე ძალიან ადვილად შემიძლია გამოვიწოდო რა სჭირს მოსაუბრეს. მუცლის ტკივილის დროს ზარის ინიციატორი საუბრობს სლუკუნით, გულის შეტევის დროს ზარი იჩქება შეკუნებით, „-არ მინდა თქვენი შეწუხება, მაგრამ...“ თუ ზარის ინიციატორი ლაპარაკობს სწრაფად, მაშინ ეს საგზაო შემთხვევაა.

### სასწრაფო დახმარების ბლაფი

მოვიპაროთ სამედიცინო ლექსიკონი CTA და შევარჩიოთ გაუგებარი სიტყვები. გამოვაცნობინოთ კოლეგებს რას ნიშნავს. უფრო სახალისოა, თუ რთულ სიტყვას აარჩევთ.


### გამოიყენო სიტყვა

ერთი ზარის მიმღები პოულობს სიტყვას, მეორე იყენებს ამ სიტყვას მომდევნო

ზარზე, თამაშის სვლასთან ერთად იზრდება სიტყვის სირთულეც. სიტყვები რომელიც წინა ღამით გამოვიყენეთ: თავის ტკივილი, კატა, ლაქტობაცილა.

საქართველოს 112-ში ბრიტანეთის 999-სგან განსხვავებული წესებია, ამაზე ეკა მჭედლიძე - 112-ის ოპერატორი გვესაუბრა:

24 საათის განმავლობაში ქოლ-ცენტრში გათბობა ჩართულია, ღამის საათებში კითხვის უფლებაც გვაქვს, შეგვიძლია ჟურნალი ან წიგნი წავიკითხოთ. ყავის და ჩაის დალევის უფლება, რა თქმა უნდა, გვაქვს. მობილური ტელეფონის შეტანის უფლება არ გვაქვს, ასევე სავალდებულოა დავიცვათ ჩაცმის წესები, მაგალითად ქოლ-ცენტრში სამოქალაქო ტანსაცმლით არ შევიდეთ. აუცილებელია ქოლ-ცენტრში წესრიგის დაცვა, არ უნდა ვისაუბროთ ხმამაღლა და ა.შ.



## აზბესტის ქოლგა მეხანძრებისთვის

აზბესტის ქოლგა, გერმანელ მეხანძრებს ხანძრის ჩაქრობაში ეხმარებოდა. ფოტოზე წარმოჩენილია იმ კონსტრუქციის ქოლგა, რომელიც გამოიყენებოდა პირველი მსოფლიო ომის დროს საწვავის აალებით გამოწვეულ ხანძრებთან ბრძოლისას. ასეთი მოწყობილობა, კერასთან ახლოს მისვლის და ზედაპირიდან წყლის მიწოდებით ხანძრის ჩაქრობის საშუალებას იძლევა.



აზბესტის ქოლგა მეხანძრებისთვის - გერმანია, 1933 წელი

## სახანძრო ბოძის ისტორია


სახანძრო ბოძი (ან, როგორც მას ჩვენთან უწოდებენ, ჩამოსასრიალებელი ბოძი) - ხის ან მეტალის, სახანძრო ნაწილებში უკვე 140 წელზე მეტია, მაღალი სართულებიდან დაბალ სართულებზე დასაშვებად გამოიყენება . ცეცხლთან მებრძოლები ჩვეულებრივ სახანძრო ნაწილის მაღალ სართულებზე იმყოფებიან იმ დრომდე, სანამ სახანძრო განგაში არ დაფეხა, რის შემდეგაც, ისინი რაც შეიძლება ჩქარა უნდა ეკიპირდნენ, დაეშვან ქვედა სართულზე და ჩაბარებულ სახანძრო ავტომობილებში.



სახანძრო ბოძი  
ქალაქ ელ-ასოში (აშშ)

სახანძრო ნაწილის დაგეგმარება XIX საუკუნეში სტანდარტული იყო: პირველ სართულზე განლაგებული იყო ცხენები და სახანძრო ტრანსპორტი, ასევე მთელი

ინვენტარი. მეორე სართულს სამორიგეო ცვლის ადგილსამყოფელი, მათ შემცირებული და საყოფაცხოვრებო ნაწილი იყავებდა. მაღალ სართულზე ინახებოდა სახანძრო ნაწილის ცხენების საკვების ზამთრის მარაგი. 1878 წლამდე, ჩვეულებრივ სპირალურ კიბეებს იყენებდნენ. ჩვეულებრივი კიბის გამოყენებას ხელს ცხენების ცნობისმოყვარეობა უშლიდა, რომლებიც შესაძლოა მათში გაბლანდულიყვნენ. სპირალურ კიბეზე დაშვების სიჩქარე სასურველზე ნაკლები იყო, ხანდახან სიჩქარეში შესაძლოა მეხანძრებს ვიწრო საფეხურებზე კოჭი ეღრძოთ.



სახანძრო ნაწილის ქვედა  
სართული სახანძრო ბოძით


# სასარგებლო რჩევები...



**ძველი სახანძრო ნაწილის  
მოსასვენებელი ოთახი**

ჩიკაგოს (აშშ), 21-ე ნაწილის მეხანძრე, ჯორჯ რეიდი, ერთხელ სხვენზე მარაგი-სათვის თივას ტვირთავდა გრძელი ხის-ტარიანი საბძელის დახმარებით, შემდეგ კი მიაყრდნო ის ქვედა სართულის იატაკს და ქვევით ჩასრიალდა. ამ ჭკვიანი მეხანძრის მოქმედებამ კაპიტანს, დევიდ კენიონს, დაუბადა აზრი, სართულებს შორის მუდმივი ხვრელი ჰქონოდა და ბოძი დაე-ჟენებინა, ქვემოთ სწრაფად დასაშვებად.

სახანძრო დეპარტამენტის შეფთან შეთანხმების შემდეგ 1878 წელს, 21-ე ნაწილის მეხანძრეებმა ფიჭვის ხისგან დაამზადეს 3 დიუმის (7.62 სმ) ბოძი. ბოძილაქით და ცვილის ფენით იყო დაფარული, რათა კარგი ჩამოსრიალება უზრუნველეყო. გარკვეული დროის მანძილზე მეხანძრები კოლეგების დაცინვის საკუთრელი ობიექტები იყვნენ, თუმცა მალე შეამჩნიეს, რომ 21-ე ნაწილის მეხანძრები ყველაზე ადრე მიღიოდნენ გამოძახების ადგილზე, განსაკუთრებით ღამით. ჩიკაგოს სახანძრო დეპარტამენტის შეფრა ბრძანა ბოძები ქალაქის ყველა სახანძრო ნაწილში დაეყენებინათ. პირველი ბოძი, 1880 წელს ბოსტონში დააყენეს. სიჩქარის საზღაურად არსებობდა ტრავმების მიღების რისკი. არასწორი გამოყენებისას, ბოძმა შესაძლოა ხახუნის შედეგად დამწვრობა გამოიწვიოს, მოტეხილობები და ხანდახან დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნაც. ამიტომ ახალ სახანძრო ნაწილებში სახანძრო ბოძების გამოყენება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. არსებული მოწყობილობები დემონტაჟდება ან უსაფრთხოების დამატებითი ზომებით გამოიყენება, მაგალითად დაშვების ადგილას საგებების დაგებით.



**ჩასასრიალებელი ბოძი  
თანამედროვე სახანძრო ნაწილში**



როგორ გავხადოთ საკუთარი  
თავი დისციპლინირებული

იმისათვის, რომ წარმატებით გადაჭრათ ცხოვრებისეულ გზაზე შექმნილი პრო-ბლემები, საჭიროა საკმაოდ ძლიერი ნებისყოფის ქონა. დისციპლინირებულ ადამი-ანს არ გაუჭირდება ყველგან დროულად მისვლა, ჯანმრთელობაზე ზრუნვა და საერ-თოდ, სირთულეები მისთვის არ წარმოადგენერ პრობლემას. მაგრამ როგორ დავძლიოთ სიზარმაცე და აპათია?

1. გაუკეთეთ ფორმულირება მთავარ მიზეზს, რომლის გამოც თქვენ არ გყოფნით დისციპლინირებულობა. შესაძლებელია, ბავშვობაში ისე აღზარდეს, რომ არ გქონდათ შეხება სირთულეებთან და ამიტომაც არ ჩამოყალიბდა თქვენში საბრ-ძოლო ხასიათი. ნებისმიერ შემთხვევაში დარწმუნებული იყავით, რომ სასურველი თვისებების გამომუშავებას ყოველთვის შეძლებთ, თუ ამას გულწრფელად მოი-სურვებთ.

2. შექმნით მოტივაციის სისტემა. რატომ გსურთ საკუთარი თავის შეცვლა, რას მიიღებთ ამით? რა მოხ-დება, თუ დაიწყებთ საკუთარ სისუსტეებთან ბრძოლას? მკაფიოდ წარმოიდგინეთ, როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება, როცა დამოუკიდებლად შეძლებთ მის მარ-თვას. აღნიშნეთ შედეგები, რომელთა მიმართულებითაც უნდა ისწრაფვოდეთ.





3. შეეშვით საკუთარი თავისათვის იმის დაჯერებას, რომ ხართ სუსტი, ასე თქვენ ამ-ძიმებთ სიტუაციას. შეიმუშავეთ ეტაპებად დაყოფილი გეგმა, რომელიც დაგეხმარებათ გახდეთ დისციპლინირებული ადამიანი.

დაიწყეთ ელემენტარული, საკუთარი დროის დაგეგმვით.

4. ჩაიწერეთ ყველა საქმე, რომლებითაც უნდა დაკავდეთ დღის განმავლობაში, განსაკუთრებით ისინი, რომელთა მიმართაც განიცდით განსაკუთრებულ სიზარ-მაცეს. მაგალითად, გჭირდებათ დილაობით ჰერკულესის მომზადება, მაგრამ საშინ-ლად გეზარებათ, მაშინ შეიტანეთ ეს მოვლენა პუნქტის სახით სიაში, ასე თქვენ ნამდგილად არ დაგავიწყდებათ სასარგებლო საუზმის შესახებ.

5. შეეცადეთ არ დაარღვიოთ არსებული გრაფიკი, იყავით პუნქტუალური. თავ-დაბირგელად სირთულეები გადაულახავად მოგეჩვენებათ, არ დაუკეროთ ამ შეგრძ-ნებას, იგი მალე გაივლის. დროთა განმავლობაში თქვენ მიეჩვევით წესრიგს და სრულად განთავისუფლდებით სტრესისგან.

6. დაკავდით სპორტით, იგი შესანიშნავად აძლიერებს წებისყოფას. შეგიძლი-ათ დაიწყოთ დილის მოთელვით, ხოლო შემდეგ გადახვიდეთ უფრო სერიოზულ ვარგიშებზე. საკუთარი შედეგების გაუმჯობესებასთან ერთად, თქვენ მიეჩვევით სი-ზარმაცის დაძლევას და ამავდროულად ჩადგებით შესანიშნავ ფიზიკურ ფორმაში.



7. მოიღიქრეთ წახალისების სის-ტემა, რომლითაც დააჭილდოვგებთ სა-კუთარ თავს ყოველი ახალი ვალდებუ-ლების აღების, ყოველი პატარა გამარ-ჯვების აღსანიშნავად. შეძელით სულ რამდენიმე დღეში რთული გამოცდისა-თვის მომზადება? წაახალისეთ საკუ-თარი თავი კინოში ან საყვარელ კაფე-ში წასვლით.

# 112



# 112



# 112



შსს სსია – 112

ვარდის ვრცელისა და სახატის  
მისამართის გორծების გამოყენების  
ეფუძნება

[www.112.ge](http://www.112.ge)  
112news@112.ge